სტამბა და რედაქცია:
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების" წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ-დღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 3 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კ. მეოთხეზე 4 კაპ.

Типографія и Редакція
„ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ"
Тифлисъ, Дворцовая д. Дворянства
Телефонъ № 363.

ქართული თეატრი
კვირას, 17 მაისს
ქართული თეატრის აქტიორებისაგან ბ. გედევანოვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა

I

არკადიას სადილი

სცენები ჩვენი ვაჭრების ცხოვრებიდან 3 სურათად.

II

ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწილდნენ

ვოდ. 2 მოქმ. თავ. რაფ. ერისთავისა.

ოსეფას როლს შეასრულებს ბ-ნი გედევანოვი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. რჩეულოვისა, გალუსტოვისა; ბ.ბ. გედევანოვი, ადამიძე, კარბელი, თამაზიშვილი, გვარამაძე, გოცირიძე, გიორგიძე, ხარისჭირაშვილი, ხიმშიევი და სხვანი.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე
ადგილების ფასი ჩვეულებრივია

წარმოდგენის რიგი: 1) „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ".
2) „არკადიას სადილი."

საქველ-მოქმედო ბაზარი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნულია 23, 24 და 25 მაისს თავად-აზნაურობის (არწრუნისეულ) ქარვასლის ბაღში.
ვაჭრობა დაიწყება დილის 10 საათზე და გათავდება საღამოს 8 საათ.
ვაჭრობის დროს დაუკრავს მუსიკა.
ბაღში შესასვლელი ბილეთი ღირს 20 კაპ.

17 მაისს, საღამოს 7 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

ჩვეულებრივი წლიური კრება

„შუამავლისა"

კრებას წარედგინება განსახილველად წლიური ანგარიში ამხანაგობის საქმეებისა, სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1898 წლისა და ცალკე მოხსენებანი შესახებ ამხანაგობის ზოგიერთი საქმეებისა.
წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.



„ბავშვების მოკეთის"
შესახებ.



აუარებელი გამამხნევებელი წერილები მშობლებისა და მასწავლებლებისა და მარჯვედ ყიდვა ამ წიგნისა მაიძულებენ მეორე გამოცემა დავიწყო და ვსთხოვ ყველას, ვისაც-კი გული ერჩის სამშობლო საყმაწვილო ლიტერატურისათვის, მომაწოდონ თავიანთი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები ამ წიგნის შესახებ. ყველა შენიშვნას სულითა და გულით მივეგებები. მიწერ-მოწერა შეიძლება ან ჩემს სახელობაზე სათავად-აზნაურო სკოლაში, ან „ცნობის ფურცლის" რედაქციაში.
წიგნი „ბავშვების მოკეთე" მოწონებულია და სახელმძღვანელოთ დადებულია მთავრობის მიერ.
ეს წიგნი იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.—სოფლის მასწავლებლებს იაფად დაეთმობათ, ე. ი. უყდო 20 კაპ., ყდიანი 25 კაპ., თუ პირდაპირ ჩვენგან გამოიწერავენ.
ადრესი: Тифлисъ. Типографія Хеладзе, для передачи учителю Натадзе.
(50—12) პატივისცემით ალ. ნათაძე.



ვყიდულობ
ცოცხლებად
კავკასიის გარეულ ცხოველებს
ირმებს, ჯეირნებს, გარეულ თხებს, შურთხებს, ჯიხვებს, გეფხვებს, არჩვებს, არნებს, ფოცხვერებს, გარეულ ვირებს, ჯორ-ცხენებს და სხ. საჭიროა აგრეთვე გარეული ფრინველები; თურაჯები, ხოხბები, გარეული ბატები და სხვა.
მსურველთ მიჰმართონ პირადად ან წერილით მიხეილის ქუჩაზე № 106, ეზოში: ბარამოვის სახ. ჰუგო ვინკლერს
Тифлисъ, Михайловская, № 106, Гуго Винклеру. (12—11)

შპალერების საწყობი
ი. გ. მელიქიშვილისა
ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასაწყობი სამკაულები.
Депо обоевъ
I. Г. МЕЛИКОВА
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 7)

გამოვიდა და იყიდება
გაზეთ „ცნობის ფურცლის" გამოცემა
სპარსეთის მეფე
და
ქართველი ტყვე
პოემა
თავ. კოწია დადიანისა
ფასი 2 კაპ.
ასი ცალი იყიდება 1 მ. 40 კ.
ორასი — — 2 მ. 50 კ.
სამასი — — 3 მ. 60 კ.
ცსურველნი მიჰმართავენ „ცნობის ფურცლის" რედაქციას.

საჭიროა 50
კარგად დახელოვნებული მეტივე
მდ. კოდორზე (აფხაზეთში) სამუშაოდ
მუშაობა სამს წელიწადს გასტანს.
ვინც იკისრებს მეტივეების შოვნას, ვსთხოვ პირობები წერილით შემოსთვალოს სოხუმში (Сухумъ. Виссаріону Гвалія), ან და თვითონ მობრძანდეს ადგილობრივვე შესატყობად ყველა პირობებისა.
გზის ხარჯს ჩვენა ვკისრულობთ.
(10—10)

ამ თვის 17-ს
აკურთხებენ
ბეთანიის მონასტერს
(4 4)

განისვრა და დაფასება
ტყიან მამულებისა
დაფასება სამეურნეო შემოსავლისა
მამულის გეგმის შედგენას და სხ.
კისრულობს ალექსი გრიგოლის ძე სნეჟკოვი, ლაბორატორიის ქუჩა № 26.
Алексѣй Григоріевичъ Снѣжковъ, Лабораторная, № 26. (50—17)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერატი. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და საქისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.
*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

—

*** ალექსანდრე როინაშვილის დასაფლავება. გუშინ დილა ადრიანათ დიდ-ძალი ხალხი მოგროვდა განსვენებული ალექსანდრე როინაშვილის ფოტოგრაფიის სახელოსნოსთან ერევნის მოედანზე. ათი საათი იქნებოდა, როცა განსვენებული წაასვენეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

მწირველად ბრძანდებოდა ეპისკოპოსი გორისა ყოვლად სამღვდელო ლეონიდე, არხიმანდრიტი კირიონის და სხვა ქართველ სამღვდელოების თანაშსახურებით. ქვაშვეთის ეკლესიაში აუარებელი ხალხი იყო, ეკლესიაში ქედვა იყო და ეზო და ქუჩაც სავსე იყო ხალხით. ეკლესიაში გალობდა სამი დასი მგალობელთა. ერთი მონადირაშვილისა, ქალებისგან შემდგარი, მეორე მოლოდინაშვილისა და მესამე კიდევ გალობის მოყვარულთა დასი, სამივე დასის გალობამ მშვენიერი ზე-გავლენა იქონია მლოცველებზე.

წირვა და პანაშვიდი გათავდა ორ საათზედ, როცა მიცვალებული გამოასვენეს ეკლესიიდან და წაასვენეს დიდუბეში დასაკრძალავად. მიცვალებულის უკანასკნელის პატივ-საცემლად იმდენი ხალხი გაყვა, რომ მთელი ბარიათინსკის ქუჩა სავსე იყო ხალხით, სადაც შეხვდებოდით ყოველგვარ წოდების, მოდგმის და რჯულის ხალხს.

მიუხედავად იმისა, რომ განსვენებული ესვენა ლითონის კუბოში, რომელიც ძლიერ მძიმე იყო. ხალხმა მაინც თვით სამარემდე სულ ხელით ატარა კუბო. ბევრნი იყვნენ მუშა მდაბიო ხალხი და ქართველთა ინტელიგენცია, განსაკუთრებით მანდილოსნები და ახალგაზრდობა ორივე სქესისა. კუბოს მოჰყვებოდა შორეული ნათესავები განსვენებულისა, მისი სახელოსნოს მომუშავენი და შეგირდები, მთელი გამგეობა წერა-კითხვის საზოგადოებისა თავმჯდომარის თავ. ილია ჭავჭავაძითურთ.

განსვენებული დიდუბეში მოასვენეს სწორედ ოთხის ნახევარზე

და ლიტიას შემდეგ ჩაასვენეს საგანგებოდ აგებულ ტაგრუცში. საუკუნის ხსენების შემდეგ სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელმა ივანე რატიშვილმა წარმოსთქვა მშვენიერი და გრძნობით სავსე სიტყვა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე, ბევრი ქალი თუ ვაჟნი მდუღარე ცრემლით სტიროდნენ აი თვით სიტყვაც.

„მშვიდობით, ძმაო ალექსანდრე! მშვიდობით, პატიოსანო, მშვიდო, გულ-კეთილო მამულის შვილო! შენ წახვედი ამიერიდგან, მაგრამ შენი კეთილი ნაღვაწევი, შენი სამაგალითო ნაანდერძევი ჩვენ დაგვრჩა, და შენი სახელი ყოველთვის იქნება ჩვენში კეთილად ხსენებული, იქნება ხსენებული ქებითა და მადლობითა. დღეს შენგან სირცხვილეული დარჩა მრავალი, ვინც შენზედ მდიდარი ყოფილა, შენზედ უხვად ყოფილა მინიჭებული გონების ძალითა, სწავლა-ცოდნითა, ანუ ნივთიერი ქონებითა, მაგრამ შენზედ ნაკლები გამოუღია თავის ქვეყნისთვის. შენ შედარებით ცოტა მიიღე ბუნებისაგან, უფრო ცოტა მიიღე საზოგადოებისაგან, მაგრამ ამ ცოტა მიღებულს სამაგიეროდ მრავალი გამოაღებინე შენის ერისათვის. ეს ერიც მგლოვიარებს დღეს დააცილებს შენს უსულო გვამს სამარეში ლოცვითა და კურთხევითა. შენ არ გიკიფავდა ცხოვრების გზას არც ბრწყინვალე დიდ-გვაროვნობა არც მაღალ-ხმოვანი მოწმობა დიდი სწავლა-განათლებისა, არც ის თვალთმაქცობა, რომლის წყალობითაც ბევრი მოხდენილი და ცქვიტი ახალგაზდა ვაჟბატონი მარდად ახტება ხოლმე საზოგადოებრივს უმაღლეს საფეხურზედ და იქიდან გადმოგვცქერის თავმოწონებითა; არა შენ იყავ დამყარებული მარტოდ მარტო შენს საკუთარს ალალ-მართალ ძალ-ღონეზედ; ამ შენი ძალ-ღონის კვალობაზედ შრომობდი ძნელ, შრომობდი გულით მაურვალით და მიაღწიე მას, რომ გვეოდ მი ამოუდეგ უკეთესს მამულის შვილებსა, შენი სადგური შესაკრებელი იყო ხოლმე ჩვენი საზოგადების უკეთესი წარმომადგენლებისათვის, და იმართებოდა ხოლმე საუბარი ჩვენის ქვეყნის ზრუნვისათვის, ამ ქვეყნის ჭირბოროტის წინააღმდეგ გამკლავებისათვის, იგივე შენი სადგური სავანე იყო, სასწავლებელი იყო, სადაც იწვრთნებოდა მთელი დასი მოზარდი თაობისა; შენ თითონ იყავ მათი მოსიყვარულე მწვრთნელი, შენ ზრუნავდი შენი ახალგაზდა შვილობილებისათვის მხურვალედ, რომ ღირსეულად მოგემზადებინა ისინი ცხოვრების სასახელო სარბიელისათვის და დაგეყენებინა ისინი პატიოსანის გამოჯელობის გზაზედ. ეხლა ის შენი ახალ-გაზდობა, ის ნორჩი გულები მწარედ დასტირიან შენს კუბოს და აღარ იციან, თუ როგორ განაგრძონ შენგან დაწყებული, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გათავებული დიდებული საქმე... შენი გული სიყვარულით იყო სავსე და საგანი ამ სიყვარულისა შენი მშობელი ქვეყანა იყო; გიყვარდა გულით ამ ქვეყნის წარსული, სიყვარულით შრომობდი მის აწმყოსა და მომავლისათვის. ჩვენი წარსულის ნაშთების მოხილვით და ფოტოგრაფიულად გადაღებით საპატიო ღვაწლი დასდე ჩვენის წარსულის შესწავლასა და ძიებასა; ჩვენთა წინაპართა ნაღვაწევი, ნაქირნახულევი ნივთების მოპოვება, და ერთგულად მოვლა-დაცვა შეადგენდა შენს მხურვალე გულის წადილსა; არც ცუდად ჩაუვლია ამ შენს გულის წადილს და მეცადინეობას: დღეს წერა-კითხვის საზოგადოებას დარჩა შენგან დაარსებ[ულ]ი პატარა მუზეუმი ძველი ნივთებისა და საზოგადოება ერთგულად მოუვლის ამ შენს კეთილს სახსოვარს. შენი ანდერძი შესანიშნავია, სამაგალითო მთელის საქართველოსთვის: ამიერი და იმიერი საქართველო შესცქერის წერა-კითხვის გამავ. საზოგადოებას, როგორც ერთად ერთს ქართულ საზოგადოებას, რომლის მიზანიც არის, წერა კითხვა მოჰფინოს ქართველობაში, მაგრამ ამ საზოგადოების ღონის გაძლიერებისათვის მეტად მცირე რაზმი მუშაობს; შენ სიცოცხლეშივე იყავი ერთგული და მხურვალე წევრი ამ საზოგადოებისა და შენის ანდერძით მშვენივრად დააგვირგვინე შენი მოღვაწეობა მისთვის; ამას ვერ დაივიწყებს ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოება ყოველთვის იქნება მომხსენებელი შენის სახელისა პატივის ცემითა, წრფელის ქებითა და მადლობითა... შენ განვლე შენი ცხოვრების გზა პირ-ნათლად და აღბეჭდე იგი გზა კეთილი ნაკვალევითა. მშვიდობით, ჩვენო დაუვიწყარო მოძმევ! განისვენე, კეთილო მოღვაწევ! კურთხეულ იყოს შენი სახელი საუკუნოდ!

* * **აკაკი გამოკეთებულა** ცოტათი და ამ დღეებში თურმე ტფილისში ჩამოვა.

* * **ავადმყოფი ცაგარელის ავადმყოფობა.** ჩვენ ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ ავქსენტი ცაგარელი უკვე ჩამოუყვანიათ ქუთაისში სამსონ თოფურიას სამკურნალოში. ცაგარელი თურმე მძიმე ავად არის. ცოლიც ნატო გაბუნია-ცაგარლისა ქმარს თან ახლავს. ავადმყოფობის მიზეზს მალე შეგვატყობინებენ.

* * **წერა-კითხვის გამავრც. საზ. კრება**, რომელიც დანიშნული იყო ამ თვის 13-ს, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო გადადებულ იქმნა ამ თვის ოც-დაათისათვის, როდესაც უთუოდ შესდგება, რამდენიც უნდა წევრი დაესწროს.

* * **ქართული წარმოდგენები ბათომში.** ჩვენი ნიჭიერი მსახიობი გ. ალექსი-მესხიშვილი ბათომში ჩასულა თავის ამხანაგებით რამდენიმე წარმოდგენის გასამართავად. იმედია, ქართველობა არ დააკლდება ქართულს წარმოდგენებს

* * **ავლაბრის ეკლესიასთან სამრევლო საზოგადოების** გამგეობამ სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, ნება მოგვეცით გავაღოთ ხელთათმანის საკეთებელი და საღებავი სახელოსნო პოლიციის მე-7 განყოფილებაში, გოგილოს აბანოს ქვემოდ, სადაც წინად ორთქლის წისქვილი იყო, თულაევის სახლშიო.

* * **ქალაქის განათება.** 13 მაისს მოხდა ქალაქის გამგეობის და ელექტრონის გამმართველ კომისიის შეერთებული სხდომა, რომელმაც შეიმუშავა ხელ-შეკრულობის პროექტი, რომლითაც ელექტრონული განათება მიეცემა ამა თუ იმ ფირმას. საელექტრონო სადგური უნდა მოიწყოს 10,000 ლამპრისათვის, მაგრამ ფირმა ვალდებულია იქონიოს 6100 ლამპარი. საელექტრონო სადგურის ასაშენებლად ადგილი საბოლოოდ არჩეულია ქალაქის საწისქვილებთან, წყლის პირის ქუჩაზე, მტკვრის ნაპირზე.

* * **სიმონოვის საქმე.** როგორც ისმის, ნაფიც ვექილს პ. ა. ოპოჩინინს შეაქვს ტფილისის სამოსამართლო პალატაში საკასაციო საჩივარი ქუთაისის საოლქო სასამართლოს განაჩენზე სიმონოვის საქმის შესახებ.

* * **ახალი დანიშვნები.** როგორც ისმის, ზაქათალის ოლქის კახის განყოფილების უფროსის თანამდ. აღმასრულებელი შტ.-კ. გველესიანი დანიშნულია ზაქათალის ოლქის უფროსის უმცროს თანაშემწედ, კაპიტ. ლევენის ადგილზე, რომელიც დანიშნულია ბათომის პოლიცმეისტრად; იმავე ოლქის, ჯარამუხარის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, რომელიც დაცლილია როტმ. მირიმანოვის სიკვდილის გამო, გადაყვანილია [illegible]ეჩმიაძინის მაზრის 1-ლ განყ. პოლიციის ბოქაულის თანამ. აღმასრულებელი პორუჩ. მანსვეტაშვილი.

* * **მეპურეთა გაფიცვა თელავში.** როგორც ისმის, ქ. თელავში ყველა მეპურენი პურის ფასის ასაწევად გაფიცულან და აუკვეთიათ პურის ცხობა, ასე რომ თელავის მცხოვრებნი ორ დღეს სრულიად უპუროდ დარჩენილან. პოლიციას შეუდგენია ამ საქმის შესახებ ოქმი, რომელიც გადაუცია სასამართლოსთვის დამნაშავეთა პასუხის გებაში მისაცემად.

* * **სეტყვით დაზარალება.** სიღნაღსა და მის ახლო-მახლო ადგილებში 9 მაისს სეტყვა მოვიდა. ძლიერ დაზარალდნენ სოფ. მაღაროთ, ბოდბე, საქობო, მაშნაარი და ასანაური.

* * **ხელოსანთა კრება.** 13 მაისს ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა კრება ტფილისის ხელოსანთა მოურავის კ. ა. სერობიანცის თავმჯდომარეობით. კრებას უნდა გაესინჯა ხარჯთ-აღრიცხვა ხელოსანთა გამგეობის 1898 წლის შემოსავალ-გასავლისა. კრების დაწყების დროს ხარატების წარმომადგენელმა პ. ა. გორჩაკოვმა მიჰმართა კრებას და მოახსენა, რომ ხელოსნების მიერ არჩეულ კაცებს მათთვის არავითარი სარგებლობა არ მოუტანიათ და დრო არის ვიფიქროთ ჩვენის სკოლების შესახებ, აგრეთვე მოხუცებულ ხელოსანთათვის, რომელთაც ცოტა ხარჯი არ უძლევიან ხელოსანთა გამგეობისათვის და საჭიროა ამათთვის თავ-შესაფარი გაიმართოსო. რაც შეეხება ამისათვის საჭირო ფულს, ბ-ნმა გორჩაკოვმა სთქვა, ეჭვი არა მაქვს. რომ თუ მოვინდომეთ და თითომ ჩვენი წვლილი არ დავიშურეთ, საკმაოს შევაგროვებთო. ჯერ-ჯერობით-კი გადავდოთ 500 მან. და ამ ფულით ვასწავლებინოთ სკოლებში ღარიბ ხელოსანთა შვილები. 10 — რუსისა, 10 ქართველისა, 10 სომეხისა, 5 გერმანელისა, 5 ებრაელისა და 5 მაჰმადიანისა. თუ ხელოსნები დარწმუნდნენ, რომ ფული მათს სასიკეთოდ დაიხარჯება, არ დაიშურებენ.

კრებამ უარ-ჰყო გორჩაკოვის მოხსენება. შემდეგ ხელოსანთა მოურავს დაენიშნა 1200 მან. მაგიერად 600 მანათი ჯამაგირი წელიწადში. დანარჩენი ხარჯთ-აღრიცხვა ისევ ის დარჩა. საქმის მწარმოებელს დაენიშნა 750 მან.

* * **ჟურნალი „მოამბე".** გამოვიდა და დაურიგდათ ხელის მომწერთ მეოთხე ნომერი ჟურნალ „მოამბისა" (აპრილის წიგნი) შემდეგი შინაარსით: I „გაზაფხული" — ლექსი ვაჟა-ფშაველასი, II „ინჟინერი ან დოხტური" - კომედია 4 მოქმედებად აზიანისა (ნ. მ. დონდაროვისა), (დასასრული), III „ამირანის შვილნი" — ისტორიული რომანი აფხაზეთის ცხოვრებიდან (გაგრძელება), IV „ცისკარი" — პოემა ანტონ ფურცელაძისა, (დასარული), V „გლეხი-კაცის ისტორია" — ნაწილი მესამე ერკმან-შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა, VI „ვეფხის-ტყაოსნის" ყალბი ადგილები" — LI, LII. ალ. ს—შვილისა, VII „გურია-აჭარა" — მგზავრის წერილები, თ. სახოკიასი, VIII „ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან" — I თავ. ალ. ჭავჭავაძე. — კიტა აბაშიძისა, XI „ორმოც და ათი წელიწადი ბესარიონ გრიგოლის ძე ბელინსკის გარდაცვალების შემდეგ" — ხომლელსა X „ლაშარის ჯვარი და თამარ-დედოფალი" -- ივ. ბუქურაულისა, XI „განცხადებანი".

* * **ქურდობა.** ოთხშაბათს, 13 მაისს, მმდათოვის კუნძულზედ პირუტყვთა მფარველ საზოგადოების სამკურნალოს ფერშალს სიმონა, რომელიც სამკურნალოს ზემოთა სართულში სდგას, ფანჯარა გაღებული დარჩენია და ქურდები ამ ფანჯრიდან გადაპარულან სადგომში და მოუპარავთ ერთი ახალი შალვარი, ერთი სერთუკი, უვადო ბაშფორთი, პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრთა სია, კვიტანციები და აგრეთვე ნაღდი ფული 42 მან. და 50 კაპ. რომელიც სერთუკის ჯიბეში სდებია სხვა ქაღალდებთან ერთად. ქურდს დაეძებენ.

* * **ს. კორტანეთი** (ქართლი). **ცრუ-მორწმუნეობის შედეგი.** სოფ. კორტანეთში სცხოვრობს ერთი გლეხი იანო ლონდაძე; ამ შვიდი წლის წინეთ იგი ცხოვრობდა, როგორც შუათანა შეძლებული გლეხკაცი. აწ-მყო დროს კი ისე დაქვეითდა, რომ ერთი უღელი ხარიც ენატრება. მიზეზი მისი ასე გაღარიბებისა შემდეგია: ის უწინ სცხოვრობდა აქაურ ეკლესიი[ს] (წმ. გიორგის) 30 საჟენის სიშო[რ]ეზედ, როდესაც მას მოუკვდ[ა] ორი პატარა შვილი, იმან ეკლე[-] სიის მიზეზს [illegible] მკითხავთან [illegible] მკითხა[-] მაც, როგორც მიიღო გასამრჯე[-] ლო, სხვათა შორის, უთხრა: შე[ნ] ეკლესიის მახლობლად სცხოვრობ[ ] და თუ არ გადასახლდი ამ ადგი[-] ლიდან, ვერ გაიხარებ ცოლ-შვი[-] ლითაო. დაბრუნებისამებრ ვ. ლო[-] ნდაძე უნდა ეკკლესიიდგან შორ[ს] გადასახლებულიყო, მაგრამ ახა[ლ] ბინაზედაც მოუკვდა ერთი შვილი[;] მაშინ ვანომ უფრო გულ-მოდგ[ი-] ნით მიმართა უმთავრესს მკითხავს[,] კოდელ ნინოს. იმანაც, რასაკვი[-] რველია, ერთი ორათ მიიღო გა[-] სამრჯელო და მოჰყვა: მიწა, რო[-] მელზედაც შენი სახლი დგას, ე[-] მაკიდგან არის დაწყევლილი[;] შენი სახლის წინ ერთი დიდი ხ[ე] დგას, რომელზედაც წმინდანი ი[-] ყოფება და იმ ხის ახლო არ უ[ნ-] და ცხოვრობდეო თუ არ გად[ა-] სახლდი სადმე კარგ ადგილას ვე[რ] გაიხარებ ამ ადგილზეო. ვანო[ც] დაბრუნებისამებრ შეუდგა მესამ[ედ] ალაგზედ გადასახლებას, მაგრა[მ] სოფლელი გლეხის გადასახლება[,] როგორც მოგეხსენებათ, აგრე ად[ვ-] ვილი როდი არის: იმან უნდ[ა] დაანგრიოს და გადიტანოს: სახ[-] ლი, ბოსელი, სათონე, საბძელი, საქათმე, საღორე და სხვ. აი ა[მ] სამჯერ აყრა დაყრამ ისე გაალ[ა-] რიბა ზემო-ხსენებული გლეხი, რო[მ] ეხლა ერთი უღელი ხარიც აღარ ჰყავს. ამისთანა მაგალითი ერთ[ი] და ორი არ გახლავთ ჩვენ მდაბიო[] ხალხში და სულ უმთავრესი მი[-] ზეზი ამისა გახლავთ მატყუარ[ა] მკითხავები და ცრუ მორწმუნეობა.

საკვირველია ღმერთმანი, რა[-] ტომ პოლიცია ყურს არ ადევნებ[ს] ამ ქვეყნის მგლეჯელ მატყუარ[ა] მკითხავებს, რომელნიც ათას ნა[-] ირ ზარალს აძლევენ ჩვენ მდაბიო[] ხალხს. იმას ნუღარ ვიტყვით, რო[მ] ისინი თითო მკითხაობაზედ 20 — 4[0] კაპ. გასამრჯელოს იღებენ, უმთა[ვ-] ვრესი ის არის, რომ ისინი 200 — 30[0] ვერსის სიშორეზედ გზავნიან ჩვენ[] ხალხს, სადაც ძველის ძველი ეკკ[-] ლესიებია აკვლევინებენ ზვარაკ[ს] კურატს, ე. ი. მოზვერს, ერკ[-] მალს, ბატკანს და სხვ.. კიდე[ვ] ერთი ადგილიდან მეორეზედ ასა[-] ხლებენ. ვინ მოსთვლის, რამდე[-] ნაირ ზარალს აძლევენ მკითხავე[-] ბი ჩვენ მდაბიო ხალხს. ძალია[ნ] კარგი იქნებოდა, რომ პოლიცი[ა] ყველგან სასტიკათ დევნიდეს ა[მ] მატყუარა მკითხავებს და ამი[თ] ამოდენა ზარალს აშორებდეს ის[ე]დაც გაღარიბებულს ჩვენს მდაბიო[] ხალხს.

იოსებ ხუბუ[illegible]

* * **პეტროვსკი** (დაღესტანი). „სა[-] **სახელოა, რომ სამწუხარო** [illegible] **იყოს.**" კვირას 3 მაისს პეტროვ[-] სკის მახლობელ ბაღში აქაურ[მა] ქართველთა რამდენიმე ოჯახი შეიკ[-] რიბნენ დროს გასატარებლათ, რო[-] შეზარხოშდნენ ერთს თავ მომწო[-] ნე ყმაწვილ-მოხუცს ხანჯალი უქე[-] და წააქეზეს აბა თუ ერთის და[-] კვრით აგე იმ ტოტს ჩამოათლი[] ზედ რომ პალტოები და შლიაპებ[ი] ჰკიდიაო. წაქეზებულმა ვაჟკაცმ[ა] იძრო ხანჯალი და არა თუ ტოტ[-]

…თი პალტო და ერთიც ქალის …პაც შუა გაგლიჯა. სიცილით …ეყოთ ღამსწრეთ, მაგრამ თუ… ნუ ბრძანებთ, შლიაპოსნის …რის, რომელსაც მეტათ თავი …ქვს აზნაურობით, სწყენია და …რ ხანჯლოსანი სასამართლოში …ეცა. ყველა იქ დამსწრენი მო…თ არიან მიწვეულნი და ვნახოთ …კამედიანჩიკობას ითამაშებენ …ნი ტუტუცები სამსჯავროში. … როგორ დავწვრილმანდით!

გიგო თოიძე

* * * **ქუთაისი.** უფასო სკოლის …რგებლოდ. 10 მაისს აქ „ბულ…რში“ გამართული იყო სეირნო… რომელმაც კარგად ჩაიარა და …ნდიც ხელს უწყობდა, ხალხიც …ომად დაესწრო. ბულვარში უკ…ვდა ორი წყება სამხედრო მუ…კისა. ბუფეტებიც ყველა კუთ…ებში იყო გამართული და ერთ …ავას ბუნდოვან სურათებსაც …ენებდნენ, რამაც დიდი ყურად…ბა მიიქცია. სეირნობა დაიწყო …შუადღევის ოთხს საათზე და გა…ძელდა საღამოს თერთმეტ საა…მდე. შემოსავალი კარგი უნდა …ფილიყო.

ა—რე ხაბულიანი

* * * **დ. ზესტაფონი.** გამოსათ…ვებელი სადილი. 12 მაისს აქ …ოსათხოვებელი სადილი გაუმა…რთეს, წინანდელ მაზრის უფრო…ს ნამყოფს, ბ-ნ ჯაყელს. სადი…ლის გამართვაში, ამ მაზრის პო…ლიციის მოხელეებმაც მიიღეს ფუ…თ მონაწილეობა, მაგრამ თვი…ნ კი ძალიან ცოტანი დაეს…წრნენ. როგორც ამბობენ, ზოგი …რგანი, თურმე გულ-ნატკენნი …ფილან ბ-ნ ჯაყელისაგან. ბ-ნი …ყელი ცამეტის წლის განმავლო…ბაში ერთგულად ემსახურებოდა …რაპნის მაზრას.

ა—რე ხაბულიანი

* * * **ბათომი.** „ბათომის მუშა…რტელის“ ახლად აღებული სა…მავარი. ბ. მაქსიმოვმა, ცნობი…ლი როსტოველმა ვაჭარმა, რომე…ლსაც ნება რთვა აქვს აღებული …ვრობისაგან სოხუმის ოლქში …მუშაოს ხე-ტყის მასალა სახა…კრო ადგილებში და რომელმაც …ერ მეორე წელიწადია მდინარე …„კოდორის“ პირად გააწყო სახე…ხვი მანქანა, დამზადებული ნაძვ…ვეჭვის მასალის გზავნა უკვე და…იწყო კოდორიდან ბათუმში დი…კიონი ორთქლის გემებით. ეს …მასალი იხმარება ნავთის ყუთები…სთვის. ეს სამუშვარი აიღო ბა…თომის მუშათა არტელმა და გუ…შინ კიდეც დასცალა ერთი გემი, …ელად „ლილია“, რომელშიაც …ნ 100 ვაგონის ტვირთი ფიცა…რი.

— კათოლიკეთა ეკკლესიის აგება. …ური ქართველ კათოლიკეთა პა…რა წრემ იმდენი მეცადინეობა …იჩინა, რომ ეკკლესიის აშენე… ბალავერი უკვე ამოყვანილია …ისე თავ გამოდებით მუშაობენ …მები, რომ ძალიან მალე კიდეც …ნებათ საკუთარი კლესია.

…ახლა არ ვკითხავთ ამოტელა …ოთველობა რას შვრებაო? ქარ…თველები თუმცა ბევრნი გახლავთ … მაგრამ თავიანთ ეკკლესიის აშენებაზე არ ზრუნავენ! შესაძლოა მეოცე საუკუნოში დაიწყონ.

სპირდონ

* * * **გურია.** პარაკლისი აკაკიზე. თორმეტს აპრილს სოფ. ფარცხნალში მამა დავ. სუხიაშვილმა და ათს მაისს სოფ. წიფაში მამა ლ. გაჩეჩილაძემ ჩვენი მგოსნის აკაკის სამშვიდობოთ პარაკლისი გადაიხადეს, რომლის შემდეგაც როგორც პირველმა ისე მეორემ მოკლე სიტყვით გააცნეს საზოგადოებას ჩვენი საყვარელი პოეტი.

კირილე ხარაძე

* * * **სოხუმი.** მამულის ყიდვა. მოსკოველ კაპიტალისტს ბ. დუმნოვს უყიდნია სოხუმის მახლობლად მამულის „დიოსკურიის“ გვერდით, გენერალის კრიჟანოვსკის მამული, 350 დესეტინა, სამოცდა ათ ათას მანეთად.

* * * **ქ. ქუთაისი.** სახაზინო პალატა. 1-ლ მაისს გახსნეს ქუთაისის სახაზინო პალატა იმ შენობაში, სადაც წინად ოლქის სასამართლო იყო და ადგილობრივი სამაზრო ხაზინა გარდაქმნილ იქმნა საგუბერნიოდ.

— **კონსისტორიის საჭიროება.** ვინც იცის თუ რა გაჭირვებას და ვაი-ვაგლახს იტანენ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი მეტრიკულ მოწმობის ასაღებად, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, მეგრელების მიერ აზნაურობის ძებნის გამო, ის დაგვემოწმება, რომ აუცილებელი საჭიროებაა დაარსებულ იქმნას ქუთაისში კონსისტორია.

* * * **ამომრჩეველთა სიები.** საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ მეორეჯერ დაუბრუნა ქალაქის გამგეობას ამომრჩეველთა სიები. საზოგადოებაში ხმა დადის რომ რამდენიმე ათი ამომრჩეველი გამოშვებულია სიებშიო. მოსალოდნელია, რომ საბჭოს განახლება მოხდება არა უადრეს მომავალ თვისა. („კავკ.“)

* * * **მცხეთა.** სახალხო კითხვა. 10 მაისს აქ გაიმართა სახალხო კითხვა, რომელზედაც მცხეთის დედათა მონასტრის მღვდელმა ლ—ძემ საუბარი გამართა ხალხის ცრუმორწმუნოების შედეგების შესახებ წინ და წინვე წაკითხულის მოთხრობის „ალის“ გამო. შემდეგ გრძნეულ ფარნის შემწეობით აჩვენა დამსწრეთ სურათები სამღთო ისტორიიდან, გეოგრაფიიდან და „მებადურისა და თევზის“ ზღაპრიდან გარდა ამისა იგალობა მცხეთის მონასტრის საქალებო სასწავლებლის მოწაფეთა გუნდმა გალობის მასწავლებელ ქალის, კ. ი. ოქროპირიძის ხელმძღვანელობით. სახალხო კითხვის დარბაზი ავსებით სავსე იყო ხალხით, რომელიც 10 საათზე დაიშალა სავსებით დაკმაყოფილებული („ტ. ფ.“)

* * * **ს. კახი** (საინგილო), ეკკლესიის გატეხვა. 7 მაისს, დილის 5 საათზედ, ზარივით ხმა გავარდა, რომ ქურმუხის წმ. გიორგის ეკკლესია გატეხესო, რომელიც მოშორებით არის კახზედ ოთხი ვერსით. ეს ეკკლესია ეკუთვნის მისიონერ ივანიცკის. ამ ეკკლესიის გატეხის ხმამ, დიდი თუ პატარა, ყველა შეაწუხა და დააღონა და ყველანი გაიძახის: ვინ გაბედა ქურმუხიე ეკკლესიის გატეხვაო. მაშინათვე ალაგობრივ წაბრძანდა კახის ნაიბი არდატოვი თავისი მამასახლისი გიორგი ოქრო ჯანაშვილით და ბლაღოჩინი ოქროპირიძე და ადგილობრივი მღვდლით და მრავალი სხვანიც. ენახათ საყდარი ღია, ხოლო კლიტე პირველისა ისევ ისე დაკეტილი და კარებ ზევით ფანჯარა გატეხილი, საიდანაც თურმე გადასულიყვნენ, მერე მეორე კარები გაეღოთ და ყველაფერი წაეღოთ, ასე რომ აღარაფერი დაეგდოთ. წარმოიდგინეთ ტრაპეზი და სამკვეთლის შესამოსელიც კი მთლათ გაეხადნათ და ცარიელი მაგდაღა დაეგდოთ, ალსავლის კარებზედაც კრეტსაბმელი ჩამოეხსნათ. ამ სურათის მნახველთ ყველას ცეცხლი ედებოდა და ცრემლი მოსდიოდათ. ბ. არდატოვი და მამასახლისი მაშინვე შეუდგა ამ საქმეს, რომ როგორმე იპოვნონ ამ ეკკლესიის ქურდები. ღმერთმა ხელი მოუმართოს, რომ ჩქარა აღმოაჩინონ ბოროტ-მოქმედნი. აქეთკენ ძალიან სიძვირეა პურისა. თაღარი პური ღირს 13 მ., თაღარი შვიდ ფუთ ნახევარია, ფეტვი — 5 მ. ქერის შოვნა სულ არ არის; ისიც პურსა და ფეტვს სად იპოვნი, თუ არა სომხებთან, რომელნიც ხალხს ატყავებენ. ახალი მოსავალი კი კარგი არის ჯერ ჯერობით და ვნახოთ ბოლოს რა იქნება.

მონა

* * * **ს. უდე** (მესხეთი). მადლობა შემომწირველებისათვის. ბ-ნო რედაქტორო გთხოვთ უმორჩილესად ნება გვიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ შემდეგ პირთა რომელთაც შემოსწირეს წიგნები ჩვენ სამკითხველო წიგნთ-საცავს. ქ. ახალციხიდგან მღ. ბლაღოჩინმა დ. ხახუტაშვილმა 32 ქართული ცალი და 5 რუსული წიგნაკი. ქ. ფოთიდგან ვასილ ფირალოვისაგ შეკრებული 35 ცალი, ამისგანვე 5 ცალი ქართული და ხუთი რუსული ლ. ალასანიასაგან 14 ცალი ქართული წიგნი. იონა თურქიასაგან 1 ქართული და 5 რუსული ცალი. ბეგლარ შამალაძისაგან 2 ქართული და 1 ერთი რუსული წიგ. ს. შამალაძისაგან 1 ქართული წიგნი. კოსტანტინე რუხაძისაგან 1 ც. ქართული წიგნი, №-მა 1 ც. ქართული წიგნი.

იმედი გვაქვს პატივცემული ქართული საზოგადოება არ დაივიწყებს თავიანთ-მხრით ამ საწყალს სოფლის ერს, რომელიც მსგავსად უძღები შვილისა ჰპოვა დაკარგული; რომელიც დღეს აქნობამდის უცნობად იყო ქართველ საზოგადოებისათვის.

ს. უდის სახალხო სამკითხველო-წიგნთსაცავის გამგე იაკობ პავლეს ძე მერაბიშვილი

## სასამართლოს მატიანე

### მასწავლებლის დუმბაძის საქმე.

(დასასრული)

პროკ. ამხ. ა. გ. რიპინი არ დაეთანხმა ექსპერტების დასკვნას და ამტკიცებდა, რომ დუმბაძე როცა შმაკოვის ქალს მოკვლას უპირებდა, არ ყოფილა შერყეული, არამედ სრულიად ცნობიერად მოქმედებდაო. ექიმს ორბელს, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში ჰხედავდა დუმბაძეს, არა სცოდნია ამ საქმის ვითარება, და ამიტომ ვერ იქონიებს აზრს იმის შესახებ, თუ რატომ მიაჩნდა დუმბაძეს თავისი თავი ბოლდანოვისაგან და მისი აგენტებისაგან დევნილად, და აქვს თუ არა მას ამისთვის ნამდვილი საფუძველი. სასამართლოს შეერთებულ სხდომის დასკვნები, რომელმაც დუმბაძე ნორმალურ კაცად იცნო, მან სრულიად კანონიერ დასკვნებად მიიღო, დუმბაძეს ნათელი აზროვნება აქვს, მის მოქმედებაში სჩანს სრული გონიერება, ან სრული სისწორით გამოიანგარიშა საავადმყოფოში, რომ 19 თვეა დატუსაღებული. დუმბაძეს მართლაც ჰყოლია მტრები, რომლებიც სდევნიდნენ მას, მაგრამ რა არის უნორმალო იმაში, რომ მან თავისი მტრების არსებობა იცოდა, დუმბაძე სრული ცნობიერებით მოქმედებდა და ამიტომ უნდა პასუხის გებაში მიცემულ იქნეს თავისი დანაშაულისათვის. მიუხედავად ყოველივე ამისა, შმაკოვის ქალის მოკვლა მან დააპირა არა წინდაწინ მოფიქრებულ განზრახვით, არამედ აღელვების გამო, რომელიც გამოიწვია თვით შმაკოვის ქალის საქციელმა.

სამოქალ. მომჩივანმა, ნაფ. ვექ. თანაშ. გ. ს. ზავრიევმა, უარი განაცხადა საჩივრის დაცვაზე, რადგან ექსპერტებმა დუმბაძე შერყეულად სცნეს დანაშაულის ჩადენის დროს.

დამცველმა, ნაფ. ვექ. თანაშემწემ შ. დ. გრუზენბერგმა, აღნიშნა რა ექსპერტიზის თვალსაჩინო მნიშვნელობა ამ საქმეში და დ. პავლოვსკისა და ბაბოვის დასკვნების დასაჯერებლობა შესახებ დუმბაძის სულიერი მდგომარეობისა დანაშაულის ჩადენის დროს, გამოსთქვა, რომ მთელი საქმის კვანძი და უბედურების მიზეზი მდგომარეობს სახელოსნოს დახურვაში და მასთან შეერთებულს ყვარელის სკოლის გადაკეთებაში. დუმბაძემ შექმნა ეს სახელოსნო, ჩაჰბერა მას სული და მიაჩნდა იგი თავის ნაზარდად; იგი არ იზოგავდა სახელოსნოსთვის ძალ-ღონეს და შრომას და სრულიად საფუძვლიანად მიაჩნდა იგი ხალხისათვის სასარგებლო საქმედ. დუმბაძისათვის პედაგოგიური მოღვაწეობა იყო არა უბრალო ხელობა, არამედ მოწოდება; ის იყო ნიჭიერი, ჰკვიანი და საქმის მცოდნე პედაგოგი. რაღა თქმა უნდა ასეთი პედაგოგი გულ-გრილად ვერ შეხვდებოდა სახელოსნოს დახურვას, მით უმეტეს, რომ თვით ბოლდანოვის აზრი მისი დახურვის შესახებ მას მიაჩნდა უსამართლოდ. საყურადღებოა, რომ ამ მხრით დუმბაძე განკერძოებით არ მდგარა; მისი რაიონის ინსპექტორი პავლოვი—აგრეთვე არ თანაუგრძნობდა ბოლდანოვის მიერ განზრახულ გადაკეთებას. ამ საგნის გამო სახალხო სკოლების დირექციაში აზრების სხვა-და-სხვაობა დაიბადა, ბ. პავლოვს ჩამოართვეს საქმე და სკოლის გადაკეთება მიანდვეს ბოლდანოვს.

ვერ დავივიწყებთ, რომ სახელოსნოს დახურვასთან შეერთებული იყო დუმბაძისათვის მისი სამსახურის დამდაბლება: უფროს მასწავლებლიდან ის უნდა გამხდარიყო მეორე მასწავლებლად, მეტიც ნაკლები ჯამაგირი და დამცირებოდა სამსახურის უფლებმნი. რისთვის უნდა მომხდარიყო ასეთი დამდაბლება? თვით სამოსწავლო მთავრობას იგი მიაჩნდა მშვენიერ, კეთილ-სინიდისიერ, გულ-მოდგინე პედაგოგად, და რატომ სკოლის გადაკეთების შემდეგ მას შესაფერი ადგილი არ მისცეს! ყოველივე ეს, უეჭველად აძლევდა დუმბაძეს საფუძველს ჩაეთვალა თავისი თავი უსამართლოდ დაჩაგრულ ადამიანად და ყოველსავე ამას იგი აბრალებდა ბოლდანოვს. აი ნამდვილი სარჩული ამ საქმისა. ეროვნული კითხვა ხელოვნურად მიუკერებიათ ამ საქმეზე, რომელსაც იგი დაავადებულ მეტ-ხორცად აზის. სასამართლოს გამოძიებით იმდენად ძლიერად და ნათლად დამტკიცდა ეს, რომ დამცველისათვის ამის ხელ-ახლავ დამტკიცება სრულიად ზედ-მეტია. დუმბაძეს არასოდეს არ ჰქონია გულში ეროვნული მტრობა; ყველა მოწმეები ამტკიცებენ, რომ დუმბაძეს შმაკოვის ქალის, როგორც რუსის, მასწავლებლობის წინააღმდეგ არაფერი ჰქონია და თუ მისი აზრით ქართველ ქალების აღსაზრდელად საჭიროა ქართული ენის ცოდნა, ასეთი პედაგოგიური შეხედულობა, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ეროვნულ ტენდენციას, შეუძლებელია დანაშაულად ჩავთვალოთ; შმაკოვის ქალი მას არასოდეს ცუდად არ მოუხსენებია, მისი მასწავლებლად უვარგისობის შესახებ მას არა უთქვამს რა და არც არასოდეს შეხებია რუსის ქალის ზნეობას; არც ერთ მოწმეს არ გაუგონია მისგან არასოდეს ასეთი აზრი, და თუ ჩერკასოვს ერთი მასწავლებლისაგან გაუგია, თითქო ეს დუმბაძეს ეთქვას, ეს თვით ჩერკასოვს უბრალო სოფლურ ჭორად მიაჩნია, რომელიც გარდა ამისა დუმბაძესთან აშლილ პირს გადაუცია მისთვის.

სასამართლოში გამოირკვა, რომ ბოლდანოვი, როგორც თვითონ მან გამოგვიცხადა, მართლაც აბრალებდა დუმბაძეს ეროვნულ გატაცებას, „იმ საქმის ღალატობას, რომლისთვისაც იგი ჯამაგირს იღებდა“, თითქმის იმასაც, რომ იგი აგულიანებდა მამასახლისს ზანდუკელს გლეხებისათვის განაჩენი შეადგენთ იმის შესახებ, რომ უკეთესია სრულიად დაიხუროს სკოლა, ვიდრე რუსის ქალი დაინიშნოს მასწავლებლადო. ბოლდანოვის ზანდუკელთან პირში წაყენებამ დაგვიმტკიცა, რომ არაფერი ამის მგზავსი არ მომხდარა: დუმბაძეს არასოდეს არ შეუგულიანებია ზანდუკელი და არც ზანდუკელს ამ საგანზე უთქვამს რამე ბოლდანოვისათვის. შეუძლებელი იყო ბოლდანოვისათვის არა სცოდნოდა, რომ იგი დუმბაძეს თავისი ფიქრების მიხედვით სდებდა ბრალს, და ამ სახით ჩვენ დავინახეთ, რომ დუმბაძის მთავრობა, ბოლდანოვის პირით, შესაძლოდ სცნობდა ეკიდინება მისთვის და-

ნაშაული მხოლოდ ისეთი მიხვედრით, რომელიც მოკლებულია ნამდვილ საბუთებს.

თუ გვინდა გავიგოთ დუმბაძის შეშლილობის მიზეზი, უნდა სახეში ვიქონიოთ, რომ დევნა გაჯავრება და განხეთქილება შეხვედრია მგრძნობიარე და შთაბეჭდილებანი ბუნების პატრონ ადამიანს, და იმ სულიერ ტანჯვა-წვალებისათვის, რომელსაც ადვილად გაუძლებდა მაგარ-ნერვებიანი ადამიანი, ველარ გაუძლია ნერვებიან დუმბაძეს და დაუკარგავს სულიერი სიდინჯე. დ—რ პავლოვსკის დასკვნით, დუმბაძე შეუწუხებია დევნის ისეთ მოჩვენებას, რომელსაც იწვევს ნამდვილი დევნა, და დუმბაძის შეშლილობა იმაში კი არა მდგომარეობს, რომ მას დევნილად მიაჩნდა თავი მასთან მართლაც მტრულად განწყობილ ადამიანისაგან, არამედ იმაში, რომ შეშლილობის დროს იგი ჰხედავდა თავის მდევნელს ყველგან თავის გარშემო მყოფ ადამიანთა ზურგს უკან. შმაკოვის ქალი, ნამდვილი რომ ვთქვათ, ამ საქმეში უბრალო იყო, რადგან დუმბაძის თვალში ეს ქალი იყო ბოლდანოვის მრავალ იარაღთაგანი. თავდა პირველად მას შმაკოვის ქალთან კარგი დამოკიდებულება ჰქონია, ჰყვარებია იგი, მისი გულიც მოუგია, უთხოვნია მისთვის ცოლობა, მაგრამ პირობა ჩამოურთმევია, საიდუმლოდ შეინახე—ჩვენი სიყვარული, რომ ჩემმა მტრებმა ბედნიერება არ დაგვირღვიონო. ცუდი განწყობილება მათ შორის დაწყებულა მას შემდეგ, როცა მას რწმენა გასჩენია იმის შესახებ, რომ მის საცოლესაც ბოლდანოვის მხარე დაუჭერია, მაგრამ მაინც კიდევ ათასი დავიდარაბისა და ერთმანეთის შეურაცხყოფის შემდეგ, უთხოვნია შმაკოვის ქალისათვის ცოლობა. მკვლელობის დღეს მას გაუგზავნია შმაკოვის ქალისათვის წიგნები სახსოვრად უგულითადესი წარწერით, შემდეგ ჩაუცვამს თავისი საუკეთესო ტანისამოსი და შესულა ქალთან ოთახში, რისთვის? მას თავის მოკვლა გადაეწყვიტა: სიცოცხლეში მას ყველაფერი დაჰკარგვოდა, მტრებს დაეძლიათ, სახელოსნო წაერთვათ, იგი სრულ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილიყო. მაგრამ შმაკოვის ქალი დახვედრია მას დაცინვით და მტრულად, უთქვამს მისთვის, მხოლოდ კეთილ-შობილი ადამიანები ისვრიან რევოლვერს და არა შენისთანა გაიძვერებიო. ამ სიტყვებზე დუმბაძეს გონიერება დაუკარგავს და რევოლვერი გაუსროლია... რომ მას ნამდვილად განუზრახავს თავის მოკვლა, ამას ამტკიცებს მისი სიკვდილის შემდეგ დასატოვებელი ბარათი, რომელშიაც იგი თხოულობს, ჩემ სიკვდილს ნუ გააგებინებთ ჩემ მშობლებსაო და თავის წიგნთ-საცავს სკოლას უანდერძებს.

დამცველმა უნორმალოდ აღიარა დუმბაძის მდგომარეობა დანაშაულის ჩადენის დროს და ითხოვა მისი გამართლება. სასამართლოს განაჩენით დუმბაძე გამართლებულ იქმნა.

---

## ყურმოკრული საუბარი

ახალგაზდა კაცი უსხნიდა სოფელში გლეხთა, რომ ღმერთმა დაუწყევლა უსისხლო მსხვერპლი და არა საქონლის ხოცვაო.

— უსისხლო მსხვერპლი კარტოფილია და მე ის არსად გამიგია შესაწირავად.

— ოსი მივიდა ქართველთან, ღვინო მამყიდეო, ქართველმა უქო, კაი ღვინო მაქვსო. „კარგი მინდა, თორემ ლიახვი ჩვენგან მოდისო.“

— ოსი ეწვია ქართველს, ქართველმა ბოდიში მოიხადა: უკაცრავათ ნათლიავ, მოხდილი ღვინო არ შემეწროვო.

„მოხდილი ლიახვია, ჩემო საყვარელოო,“ მიუგო ოსმა.

---

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

14 მაისი

**სან-ფრანცისკო.** დღეს ჯარი გადაიყვანეს გემებზე „სიტი-ოფ-სიდნეისა“ და „აუსტრალიაზე“, რომლებიც წავლენ მანილიისაკენ.

**კი-ვესტი.** ხმა ამერიკის გემის დაკარგვის შესახებ საფუძველ მოკლებულია.

**მადრიდი.** ოფიციალურად იუწყებიან მანილიიდან, რომ ამას წინად მომხდარ აჯანყების მოთავეთა უმეტესობა წარუდგა გენერალ-გუბერნატორს და წინადადება მისცა, ისპანიისთვის ვიბრძოლებთო.

**კივესტი.** როგორც აქ მოსულ ცნობებიდან სჩანს, უკვე ნამდვილად აღმოუჩენიათ ის ადგილი, სადაც ისპანიის ფლოტი სდგას, მაგრამ ომი ჯერ კიდევ არ ყოფილა.

**პარიჟი.** კაბინეტმა განუცხადა პალატას, ჩვენ გამოვალთ სამსახურიდან მხოლოდ მას შემდეგ, როცა ხელმოწერილი იქნება კონვენცია ნიგერის შესახებ, რომელიც სულ მოკლე ხანში უნდა იქნესო.

**იოკაგამა.** იაპონელებმა ორშაბათს გადასცეს ვეი-ხაი-ვეი ჩინეთის დელეგატებს

**გავანა.** გერმანიის კრეისერი „გეიერი“ გერმანიის ელჩის მოთხოვნით, მიდის დღეს ვერაკრუსში 20—25 გერმანელ შვეიცარიელითურთ.

**შანჰაი.** იუწყებიან, რომ ვენჩჟოუში არეულობა დაიწყო ბრინჯის გამო და რომ ყველა ოფიციალური შენობები დანგრეულია. უცხოელები ხელ-შეუხებლად დარჩნენ.

**პეკინი.** პრინცმა ჰენრიხმა გადასცა ცზუნ-მეიამინს იმპერატორის ვილ-ჰელმის-მიერ ჩინეთის იმპერატორისათვის ნაბოძები ორდენი „შავი არწივისა“. დღეს პრინცი ჰენრიხი გამოსამშვიდებლად ეწვია იმპერატორს.

**ბერლინი.** საბერძნეთის მემკვიდრე მეფე-დედოფალი მობრძანდნენ აქ ნაშუადღევს. ვაგზალზე მისაგებებლად მობრძანდა იმპერატორი მრავალ სამხედრო მხლებლით და სამეფო სახლეულობის პრინცებით.

15 მაისი.

**ვაშინგტონი.** მაკ-კინლეიმ გამოაქვეყნა მოწოდება, რომლითაც სთხოვს 75000 ნებით ჯარის კაცთ სამხედრო სამსახურში. ამერიკის ჯარი ავა 280.000 კაცამდე.

**ბელგრადი.** საკასაციო სამსჯავრომ გააუქმა სასამართლოს დადგენილება, რომლითაც პაშიჩი გამართლებული იყო. საქმე ხელ-ახლად გაირჩევა.

**ბერლინი.** გემები „დაუტშლანდი“ და „ავგუსტა“ პრინცი გენრიხის უფროსობით 13 მაისს ტაკუდან პორტარტურში გაემგზავრა.

**მადრიდი.** დეპეშა მანილიიდან: „ისპანეთის ჯარმა 14 მაისს სურსათის უქონლობის გამო დასცალა კუნძული კორეგიდორი. პროვინციებში აჯანყება თან და თან ძლიერდება. ამერიკის გემი „ბალტიმორი“ ცუდს მდგომარეობაშია დაზიანების გამო. ამერიკელები სცდილობდნენ ინაკაისანასთან ხმელეთზე გამოე ტანათ იარაღები და სურსათი, მაგრამ ისპანეთის ჯარმა აღარ მოუშვა და სურსათიც და იარაღებიც წაართვა.

**მადრიდი.** დეპეშა გავანიდან: ამერიკის გემები ირგვლივ გროვდებიან ტაინტანამოსთან და სხვა ქალაქებთან სანტ-იაგოს მახლობლად. აშკარაა, რომ ამერიკელები ცდილობენ სერვერას იერიშით აღებას.

---


# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
საქართველოს ყველა წიგნის
მაღაზიებში

**რამდენიმე ლექსი**

**ნიკოსი**

ფასი ერთი შაური.

ვინც არა ნაკლებ ოც ცალს იყიდის, მას დაეთმობა მანეთზე 30 პროცენტი.

უმთავრესი საწყობი თბილისში, იოსებ იმედაშვილის წიგნის მაღაზიაში.

ადრესი: Тифлисъ, Георгіевская ул., книж. магазинъ I. З. Имедашвили.

---

!!ერიდეთ, არ მოსტყუვდეთ!!

**ჰიგიენური**

ბოროტ-ტიმოეულის საპონი

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს. აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალი ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1898 წ.

ფასი თითო ნაჭერისა **50** კაპ., ½ ნაჭერი **30** კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს, დეპო ტფილისში აგმუ ჰ-ვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, წურინო ძმა, გრივნიკთან, ძმ. პოპოვებთან» და არისტაკოვთან. (24 _ 21

---

ახლად გახსნილი

**სტამბა „ცნობის ფურცლისა“**

ტფილისი, სასახლის ქ., სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119, 120 და 121

სტამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია

ყოველ-გვარი საქმე სრულდება სწრაფად, სუფთად და იაფად.

სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას; მსურველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.

ჰბეჭდავს სავიზიტო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟებისა და ქალებისათვის იაფად და მშვენივრად.

---

ВО ВНОВЬ ОТКРЫТОЙ

**ТИПОГРАФІИ**

**„Цнобисъ Пурцели“**

(В. Л. Гунiа)

Тифлисъ, Дворц. ул., д. Грузинскаго Дворянства.

Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европейскихъ языкахъ.

**Дешевизна, изящество и быстрота исполненія.**

---

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на

*новое роскошное художественное*

изданіе **Ѳ. И. БУЛГАКОВА**

**ВЕНЕРА и АПОЛЛОНЪ**

въ живописи и скульптурѣ.

(Два исконныхъ идеала красаты женской и мужской).

**40 фотофравюръ** in-folio

Съ наилучшихъ произведеній 35 знаменитѣйшихъ художниковъ идеальныхъ школъ греческаго искуства и эпохи возрожденія, изъ европейскихъ музеевъ. Съ пояснительными описаніями произведеній и біографіями ихъ авторовъ

**въ восьми выпускахъ.**

**Первый выпускъ выйдетъ 15 мая 1898 г.**, а остальные семь въ теченіе четырехъ слѣдующихъ мѣсяцевъ по два выпуска ежемѣсячно—1-го и 15 числа.

**Цѣна только по подпискѣ 16 р.**, съ пересылкой—**20 р.**

Подписка принимается только на 300 экземпляровъ во редакціи «Новаго журнала Иностранной Литературы» (С.-Петербургъ, Конногвардейскій бульваръ, 13) и въ книжномъ магазинѣ «Новаго Времени», (С.-Петербургъ, Невскій, 38.

Допускается разсрочка: при подпискѣ уплачивается 2 р. и при полученіи каждаго выпуска по 2 р. (послѣдній—8-й—выпускъ безплатно). Иногородніе, уплачивая при подпискѣ 5 р. и при полученіи каждаго изъ первыхъ шести выпусковъ по 2 р. 50 к. и по 10 к. за наложенный платежъ (седьмой и восьмой выпуски безплатно);—благоволятъ адресоваться къ **Ѳ. И. Булгакову** (СПБ. Конногвардейскій бульваръ, 13).

**Отдѣльно выпуски не продаются.** (15—14)

---

**КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,**

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгальтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой и промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній—

реподаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ взаимн. сел.-хоз. кредита и препод. школы садоводства.**

Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи 20 (5 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., д. № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—7)

---

Первокласные Велосипеды

**„ЭНФИЛЬДЪ“**



Золотая медаль

Главный Складъ для оптовой и розничн. продажи

Торговый Домъ

**ДЕВИСЪ и АЛЕКСѢЕВЪ**

МОСКВА, Рождественка, уг. Кузнец. м. д. Третьяковыхъ. Требуйте каталогъ

(8—5)